ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 51

29 მარტი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ნინო კვეტენაძე

შპს „კასს პარკინგი"-ს წარმომადგენლები- ანა შანიძე; დავით იორდანაშვილი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

1. ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩაზე, ქვანახშირის დასახლებაში, კოტეჯ #5-ში (საკ/კოდი:#01.20.01.126.012.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.(12-0319085147-03)
2. ქ.თბილისში, ჩუბინიშვილის ქუჩა №30-ში (საკ/კოდი:01.16.01.018.023.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება. (12-0319085147-03)
3. ქ.თბილისში, ჭიჭინაძის ქ.№12-ში (საკ/კოდი:№01.19.23.009.76) მდებარე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება. (12-0319085147-03)
4. ქ.თბილისში, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ (საკ/კოდი: 01.19.17.002.114) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება. (#12-031908645-03)
5. ქ.თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.10.14.030.054) და ქ.თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-სთვის (ს/კ 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის #424 გადწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა და აღნაგობის პირობების დარღვევის გამო შპს „კასს პარკინგი"-სთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე. (12-0319085146-03)

6. ქ.თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი№1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ 01017001245) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.(12-0319085142-03)
7. ქ.თბილისში, მელაანის ქ.შესახვევი III №34 ა-ს მიმდებარედ 3 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.17.08.042.030) პირდაპირი განკარგვის წესით ნაზი დანელიასთვის (პ/ნ 01023000067) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ (12-0319085143-03)
8. ქ.თბილისში, შ. დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 5 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:01.15.05.075.024) შპს „სოლოლაკი 2017-სთვის" (ს/ნ 405164806) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.(12—0319085143-03)
9. ქ.თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ №10,№18ა და №20ა კორუსებს შორის არსებული 233 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.17.10.002.317) სსიპ საქართველოს სამოციქული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება (12-0319085143-03)
10. ქ.თბილისში, ალეკო გობრონიძის ქ.№10-ის მიმდებარედ არსებულ 128 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: 01.11.13.002.251) 35 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ 404984228) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. (12-031907911-03)
11. ე.ს ამხანაგობა „კრწანისი 21"-ს მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარების შესახებ"
(12-0319085161-03)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ნინო კვეტენაძემ.

მოისმინეს :ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩაზე, ქვანახშირის დასახლებაში, კოტეჯ #5-ში (საკ/კოდი:#01.20.01.126.012.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

ნინო კვეტენაძის განმარტებით, ვაკის რაიონის გამგეობამ უშუამდგომლა მოქალაქე დალი ზურაბიშვილს თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა ქვანახშირის დასახლებაში, კოტეჯი N5-ში, მდებარე ბინის „ბ" ფართით 54.67 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.20.01.126.012.01.501 საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. შსს-ს ცნობით, დალი ზურაბიშვილი 2005 წლიდან მუდმივად ცხოვრობს აღნიშნულ ფართში. მოქალაქეს (1 ოჯახს) გადაეცემა 1 ერთეული 54.67 კვ.მ. ფართი.
საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შენიშვნები არ ქონდათ.
მომხრე-7, ვახტანგ შაქარიშვილი კენჭისყრაში არ მონაწილეობდა.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ჩუბინიშვილის ქუჩა №30-ში (საკ/კოდი:01.16.01.018.023.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

მოქალაქე ნორა ცოცხალაშვილს ჩუღურეთის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, სიმბოლურ ფასად გადაეცემა თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა N30-ში, I სართულზე მდებარე ფართი 25.52 კვ.მ (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი

N01.16.01.018.023.01.504). მოქალაქე აღნიშნულ ფართში შსს-ს ცნობით მუდმივად ცხოვრობს დაახლოებით 10 წელი, ხოლო მეზობლების ხელმოწერით 2002 წლიდან.
მომხრე-7, ვახტანგ შაქარიშვილი კენჭისყრაში არ მონაწილეობდა.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ჭიჭინაძის ქ.№12-ში (საკ/კოდი:№01.19.23.009.76) მდებარე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

სამგორის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი N01.19.23.009.076) მდებარე უძრავი ქონების 18 პირზე საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, მთავრობის განკარგულების დანართით წარმოდგენილი პირები, მეზობლების ხელმოწერების დადასტურებით 2011 წლიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. 18 პირს (18 ოჯახს) გადაეცემა 19 ერთეული ფართი საერთო რაოდენობით 736.36 კვ.მ.

მომხრე-7, ვახტანგ შაქარიშვილი კენჭისყრაში არ მონაწილეობდა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ (საკ/კოდი: 01.19.17.002.114) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით მუხაძის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი 01.19.17.002.114) მდებარე უძრავი ქონება გადაეცემა 22 პირს, რომლებიც მეზობლების ხელმოწერების დადასტურებით 2005-2010 წლებიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. 22 პირს (22 ოჯახს) გადაეცემა 22 ერთეული ფართი საერთო რაოდენობით 981,79 კვ.მ სიმბოლურ თანხად - 1 (ერთ) ლარად.

მომხრე-7, ვახტანგ შაქარიშვილი კენჭისყრაში არ მონაწილეობდა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში,მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.10.14.030.054) და ქ.თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა,გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-სთვის (ს/კ 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის #424 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და აღნაგობის პირობების დარღვევის გამო შპს „კასს პარკინგი"-სთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ნინო კვეტენაძემ.მან აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 11 ნოემბრის ბრძანებით, შპს „ი.დ.ლ"-ს მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე 2812 კვმ მიწის ნაკვეთი და მიცკევიჩის ქუჩზე, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვმ მიწის ნაკვეთი გადაეცა აღნაგობის უფლებით მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობის მიზნით. ხელშეკრულების პირობების თანახმად, საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა კომპანიას განესაზღვრა 2018 წლის 15 მაისამდე. მთელი რიგი მიზეზების გამო დოკუმენტაციის მომზადება ვერ მოხერხდა. ძირითადი მიზეზი იყო მიწისქვეშა კომუნიკაციების არსებობა. ტერიტორიაზე აღმოჩნდა მიწისქვეშა კომუნიკაციებით დატვირთული ქსელი, წყალარინების ქსელი, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელები, სილქნეტისა და მაგთის მიწისქვეშა კომუნიკაციები. ინფორმაციის მოპოვებას საკმაოდ დიდი პერიოდი დასჭირდა. პროექტის დასასრულებლად საჭირო ინვესტიციაც საგრძნობლად გაიზარდა და რენტაბელურობაც შემცირდა. კომპანია ითხოვს აღნაგობის საზღაურის მოხსნას, პროექტის წარდგენის ვადის შეცვლას 2019 წლის დეკემბრამდე და საპარკინგე ადგილების შემცირებას 150-ან 110 ადგილამდე. მთავრობის განკარგულებით აღნაგობის წლიურ საზრაურად განისაზღვრა 1 ლარი, აღნაგობის საერთო ვადის განმავლობაში. შპს „კასს პარკინგი" გათავისუფლდა 1000 ლარის ოდენობით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, კომპანია ასევე თავისუფლდება საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან.

საკითხის განხილვა გაიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების ირაკლი ზარქუას, დავით უთმელიძის, ლევან დარახველიძის შეკითხვებზე დაწვრილებით განმარტეს კომპანიის წარმომადგენლებმა. მათი განმარტებით შპს „კასს პარკინგმა" იყიდა შპს „ი.დ.ლ"-სგან აღნაგობის უფლება თავისი ვალდებულებებით და კომპანიამ ტერიტორიის გამოკვლევაზე საკმაოდ დიდი ხარჯი გასწია. მშ. მიმდებარედ არსებული 2 კორპუსის გამაგრების ხარჯი.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი შეფასება მისცა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი№1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვმ მიწის ნაკეთის (საკ/კოდი:01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ 01017001245) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

მოქალაქე არსენ ასათიანს, რომელიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, იჯარით, სარგებლობაში გადაეცემა თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.10.14.012.036.), №01.10.14.012.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან კიბის და პანდუსის მოსაწყობად. საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია შენობის სხვა

თანამესაკუთრეთა თანხმობა. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა განისაზღვრა 10 (ათი) წლით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2700 (ორი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, მელაანის ქ.შესახვევი III №34ა-ს მიმდებარედ 3 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.17.08.042.030) პირდაპირი განკარგვის წესით ნაზი დანელიასთვის (პ/ნ 01023000067) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ.

ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებებით მომართა ნაზი დანელიას წარმომადგენელმა გოგი დანელიამ და მოითხოვა თბილისში, მელაანის ქუჩა, შესახვევი III, №34ა-ს მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.042.030) სარგებლობის უფლებით გადაცემა, კიბის უჯრედის გამოყენების (ფუნქციონირების) მიზნით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, III-ე შესახვევი, №34ა-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №01.17.08.042.022).

აღსანიშნავია, რომ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წარედგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 6 დეკემბრის №45.17.894 განკარგულება, რომლითაც მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურით 45 ლარის ოდენობით იყო განსაზღვრული. აღნიშნული განკარგულება არ აღსრულდა, შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და ახალი წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 28 იანვრის №000509919 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა 2019 წლის 28 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 360 ლარი. შესაბამისად, მიზანშეწონილია განისაზღვროს ახალი საიჯარო ქირის წლიური საფასური. დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია კიბის უჯრედი, აქედან გამომდინარე არქიტექტურის სამსახურმა გასცა დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.17.08.042.030) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით განკარგვასთან დაკავშირებით.

მიწის ნაკვეთის იჯარის მოქმედების ვადაა 10 წელი, საიჯარო ქირის წლიური საფასური - 360 ლარის ოდენობით.

მომხრე-7. ირაკლი ზარქუამ თავი შეიკავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს:ქ.თბილისში, შ. დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 5 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:01.15.05.075.024) შპს „სოლოლაკი 2017-სთვის"(ს/ნ 405164806) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

შპს „სოლოლაკი 2017-ს“, იჯარით გადაეცემა თბილისში, შ.დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.15.05.075.024) ღია კაფის მოსაწყობად. აღნიშნული იურიდიული პირი იჯარით ფლობს თბილისში, შ.დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.002.01.505) 2019 წლის 1 ნოემბრამდე.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 2019 წლის 1 ნოემბრამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ №10,№18ა და №20ა კორუსებს შორის არსებული 233 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.17.10.002.317) სსიპ საქართველოს სამოციქული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას საკუთრებაში გადაეცემა შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ №10,№18ა და №20ა კორუსებს შორის არსებული 233 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.17.10.002.317) ეკლესიის დამხმარე ნაგებობების მშენებლობის მიზნით. არქიტექტურის სამსახურმა გასცა დადებითი პოზიცია, რომლის მიხედვითაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია მიწის ნაკვეთის განკარგვა დამოუკიდებელი სამშენებლოს განვითარების გარეშე, სამშენებლო განვითარება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების შემთხვევაში.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ალეკო გობრონიძის ქ.№10-ის მიმდებარედ არსებულ 128 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: 01.11.13.002.251) 35 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის“ (ს/ნ 404984228) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა.

შპს „სამშობლოს“ იჯარით, სარგებლობაში გადაეცემა ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად. კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ში მდებარე ფართებს (ს/კ: №01.11.13.002.238.01.502; №01.11.13.002.238.01.503; №01.11.13.002.238.01.504; №01.11.13.002.238.01.505; №01.11.13.002.238.01.506). არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია ღია კაფეს მოწყობის მიზნით მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვა, იმ პირობით, თუ დაცული იქნება გარკვეული მოთხოვნები.

მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემის ვადაა 5 წელი, წლიური საიჯარო ქირის საფასური - 3000 ლარი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

მოისმინეს: ე.ს ამხანაგობა „კრწანისი 21"-ს მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარების შესახებ"

პრეზიდენტის განკარგულებით 2010 წელს ამხანაგობას გარკვეული საპრივატიზებო პირობებით გადაეცა აღნიშნულ მისამართზე 3216 კვმ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. საპრივატიზებო პირობას შეადგენდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 თვის განმავლობაში 6100კვმ ფართზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ორსართულიანი შენობის აშენება, კეთილმოწყობა და ექსპლუატაციაში მიღება, ასევე 400 კვმ მიწის ნაკვეთის დათმობა ბაღის ეზოსათვის და შემდეგ თვითმმართველობისათვის საკუთრებაში გადაცემა. ვალდებულებების სრულყოფილად დაფარვამდე შენობა დაიტვირთა იპოთეკით. ამხანაგობა აღნიშნავს, რომ წვიმიანი ამინდის დროს ვერანდაზე გროვდება წყალი, რაც იწვევს ფართების დაზიანებას. აღნიშნულის შეკეთებას თავიანთი სახსრებით ვერ ახერხებენ და მოიძიეს მყოდველი, რომელიც შეიძენს კონკრეტულ უძრავ ქონებას ბოლო სართულზე და უზრუნველყოფს სახურავის შეკეთებას. ვინაიდან ფართს ადევს იპოთეკა , ვერ ახერხებენ ზედა სართულზე ბინის გაყიდვას.ამხანაგობა ითხოვს იპოთეკის მოხსნას. უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულებების ნაწილი- ბაღის შენობის აშენება შესრულებულია, საბავშვო ბაღი მოქმედია. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება, მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, რაც მდგომარეობს შემდგომში- „ზემოაღნიშნული უძრავი ქონების განკარგვიდან შემოსული თანხები, სრულად იქნება მიმართული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის ექსპლუატაციაში მიღებისა და მისი ეზოსთვის გამოყოფილი 400 კვმ მიწის ნაკვეთის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა".

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გატანა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი
ზარქუა